

# ბანმარტუბითი ბარათი

## საქართველოს დადგენილების პროექტზე „საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლის მიზანშეწონილობის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დსთ შეიქმნა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის დოვლათის ცივილიზებული ფორმით გაყოფა იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ქონების შექმნაში. ამასთანავე, სუვერენიტეტის განმტკიცების პროცესში, მეზობელ ქვეყნებს შორის წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირება და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება.

გასულმა წლებმა, განსაკუთრებით საქართველო-რუსეთს შორის უკანასკნელ პერიოდში გართულებულმა ურთიერთობებმა, რომელშიც ლომის წვლილი მიუძღვის დსთ-ს შექმნის ინიციატორს – რუსეთის ფედერაციას, ნათლად დაგვანახა, რომ დსთ-მ ვერ უზრუნველყო ზემოხსენებული ფუნქციების შესრულება.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი

დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს თხოვოს საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით წარმოადგინოს წინადადებები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი

დადგენილების ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს გამოვიდეს იმ გაერთიანებიდან, რომელმაც ვერ უზრუნველყო მისი ეგიდით ხელმოწერილი ეკონომიკური, სოციალური და სხვა შეთანხმებების რეალური ამოქმედება და დაცვა.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო  
დადგენილების მიღება არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) დადგენილების გაგენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადგენილების მიღება არ მოახდენს გაგენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების გაგენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების მიღება არ მოახდენს გაგენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

დადგენილების მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) დადგენილების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტი:

დადგენილების მიღება არ იწვევს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

დადგენილების პროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

დადგენილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში**

დადგენილების პროექტის მომზადებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ა) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქმული არ ყოფილა.

**დ.ბ) დადგენილების პროექტის ავტორი**

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“.

**დ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი**

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“.